MES 2 21 0000745837

27/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:57 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (III, IV საკითხი);
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I, II საკითხი);
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1.ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4.გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5.ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6.ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7.გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8.ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9.ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10.გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11.დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12.დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინენაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14.თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15.თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16.მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17.ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	I, II

2	ბორის ლეჟავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	I, II
3	ელენე ჯღარკავა		ბიზნესის სკოლის დეკანი	I, II
4	დავით წიკლაური		„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	გიორგი ნატროშვილი		„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
6	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	III
7	ნინო მეგრელიშვილი		სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
8	სერგო ტეფნაძე	შპს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	IV
9	გიორგი მუშკუდიანი		რექტორის მოადგილე	IV
10	დავით ტეფნაძე		ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
6.შპს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა ანთიძემ საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი №35/3443 (ცენტრში რეგისტრაციის №701186; 12/07/2021) და №35/3461 (ცენტრში რეგისტრაციის №703761; 13/07/2021) წერილებით დაყებებული შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხების (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;) განხილვის აკრედიტაციის საბჭოს უახლოეს სხდომაზე გადატანასთან დაკავშირებით, რადგან 13 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით დაწესებულებაში დაგეგმილი იყო საბაკალავრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვები. აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი;

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
4.შპს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413, მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის №1, თბილისი 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიანა მჭედლიშვილმა;
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით სიხარულიძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ 1.1, 2.1, 2.5, 3.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.2, 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.6, 4,1, 5.1 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1.რეკომენდირებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა;
2.ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფომულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
3.რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატური განსაზღვრა, კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები;

4.რეკომენდირებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება - ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ყველა სილაბუსი და ნახეს სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა, რომელიც საჭიროებდა განახლებას;
5.რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით;
6.რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
7.რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში;
8.რეკომენდირებული გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ბიზნესის სკოლის დეკანი, ელენე ჯღარკავა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ყველა სილაბუსის სიღრმისეული ანალიზისა და სასარგებლო/პრაქტიკული რეკომენდაციებისთვის, რომელთა ნაწილი უკვე გათვალისწინების ეტაპზეა, დაიწყეს შესაბამისი რეაგირებების განხორციელება და აქვთ გარკვეული მოსაზრებები რეკომენდაციების შესახებ.
პროგრამის ხელმძღვანელი, დავით წიკლაური, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მიღებულ რეკომენდაციებს მოჰყვა რეაგირება, ნაწილში პროცესის, ნაწილში კი კომენტარის სახით. პირველი რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ განხილვის საფუძველზე მოხდა მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგის შერწყმა და ფორმულირდა შემდეგნაირად: „განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით და ზოგადი თემების ირგვლივ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში“.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება ექსპერტების მიერ მითითებულ საგნებზე და დამატებით გადაიხედება სხვა საგნებიც, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა აღნიშნული.
პრერეკვიზიტების შესახებ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მაკროეკონომიკის პრერეკვიზიტი ნამდვილად არის მიკროეკონომიკა და ეს სილაბუსებით დასტურდება, სამწუხაროდ ხარვეზია გაპარული პროგრამის ბადეში; ბრენდის მართვის და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვრა მარკეტინგის საფუძველი ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად; ბიზნესის გეგმის პრერეკვიზიტად განისაზღვრა: სტრატეგიული მარკეტინგი; ფინანსების შესავალი და სტრატეგიული მართვა, რაც ნაგულისხმევი იყო, თუმცა არ იყო გამოკვეთილი, გამოკვეთეს რადგან ამ საგნების გავლა ხდება შესაბამის კურსზე.
მეოთხე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ყოველი წლის დასაწყისში ხდება საგნების გადახედვა და შინაარსობრივად განახლება. მოხდა რამდენიმე სასწავლო კურსის ლიტერატურის განახლების მიზნით წიგნების შეკვეთა/შეძენა, რაც ისედაც ხდება ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის წინ, გააჩნია რამდენად ხდება საგნის განვითარება, რეკომენდაცია ნაწილობრივ გასწორდა და პროცესი ისევ მიმდინარეობს.
მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის ბადეში დამოუკიდებლად არის ასახული თითოეული კონცეტრაციის გრაფაში, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული სილაბუსი არის ზოგადი სახის, თუმცა სტუდენტი მისი კონცეტრაციის მიხედვით ირჩევს პრაქტიკას. შესაბამისად, პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგები მორგებულია კონცენტრაციის მიმართულებებზე.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზები გამოსწორდა შესაბამის სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში ხდება სილაბუსების ასახვა სპეციალურ ონლაინ პლატფორმაში. აღნიშნულ პლატფორმას აქვს მინიჭებული ფუნქცია რომელიც ჯამური ქულის გადაჭარბების შემთხვევაში აჩვენებს შეცდომის შეტყობინებას და იძლევა გასწორების მითითებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესში ასეთი სახის ტექნიკური ხარვეზები არ ფიქსირდება.
მეშვიდე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა მიმდინარე წელს შეიმუშავა ახალი ტიპის კონტრაქტები აკადემიური პერსონალისთვის. კონტრაქტით განისაზღვრა შესაბამისი ვალდებულებები და შემუშავდა საბონუსე სისტემა სამეცნიერო და კვლევითი აქტივობებისთვის. შესაბამისად, ყოველივე ეს მკვეთრად გააუმჯობესებს შედეგებს და გაზრდის აკადემიური პერსონალის ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში.
მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალთან ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დამკვიდრებულია მჭიდრო თანამშრომლობა. ამასთან, სკოლაში, AACSB აკრედიტაციის ექსპერტების რჩევის საფუძველზე, 2021 წლის გაზაფხულზე, შეიქმნა „სწავლების უზრუნველყოფის“ საბჭო, რომლის წევრებიც არიან სკოლის აკადემიური პერსონალი და ციკლის მიხედვით შესაფასებელი სასწავლო კურსების აკადემიური/მოწვეული ლექტორები.
ბიზნესის სკოლის დეკანმა, ელენე ჯღარკავამ, მეხუთე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ სილაბუსში არ არის გაწერილი პუნქტობრივად, მაგ., ვინც ფინანსების კონცენტრაციას ირჩევს რა შედეგებზე გაიყვანს, არამედ წერია ზოგადი შედეგები, ვინც აირჩევს რა შედეგზე გავა, თუმცა სასწავლო ბადეში ჩანს, რომ ყველა კონცენტრაციაში არის ჩასმული, ამასთანავე პარტნიორ ორგანიზაციებში გადამისამართება ხდება კონცენტრაციების მიხედვით, თუმცა შესაძლებელია სილაბუსში გაკეთდეს გადანომრვა და დაზუსტდეს.
სილაბუსებში უზუსტობების შესახებ მან განმარტა, რომ ლექტორებს ელექტრონულ ბაზაში შეჰყავთ სილაბუსები, სადაც არის წინასწარ დადგენილი შეზღუდვები, რათა არ გაიპაროს ასეთი ხარვეზები, ჯამობრივ ქულასა და გადაცდომაზე, ეს ყველაფერი ელექტრონულად არის ასახული დაშვებები და აკრძალვები სისტემაში.
მერვე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ მოცემული პროგრამის შემოტანის შემდეგ დანერგეს, რადგან პარალელურად მიიღეს საერთაშორისო ექსპერტების დასკვნაც, თვითშეფასების პირველად ანგარიშზე, რომელიც დაწესებულებაში გარდა სკოლის საბჭოსა, ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის AOL საბჭო, რომელიც არის შექმნილი ზუსტად იმ მიზნით, რომ თითოეულ პროგრამას, რაც გაწერილი აქვს შედეგების შეფასების მექანიზმში, როდესაც ხდება შესაბამისი შედეგების შემოწმება, რა ინსტრუმენტებით და როგორ უნდა გაზომონ, გარდა შინაარსობრივი ნაწილისა დაიწყეს მუშაობა, რომ პროგრამის უზრუნველყოფაშიც ექნებათ შესაბამის ლექტორებს ჩართულობის შესაძლებლობა, რომ თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებაში სილაბუსი რომელ შედეგებს ფარავს და თუ რომელზე უნდა გაიყვანოს სტუდენტი სწორედ ამის შეფასების საშუალება ექნება. შემდეგ საბჭო პერიოდულად შეიკრიბება და განიხილავს, თუ როგორ მიმდინარეობს პროგრამა შედეგებთან მიმართებაში, ამით გააძლიერეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა, ხდება მათი მოწვევა ძირითად საბჭოში, ამ ეტაპზე ეს ყველაფერი კეთდება ქართული პროგრამისთვის, თუმცა იგივე მოხდება ინგლისურენოვან პროგრამაშიც.
დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტმა, ნუგზარ სხირტლაძემ, კვლევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათთან არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ აქვთ შიდა გრანტების სისტემა, შექმნეს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, რომელიც წარმართავს კვლევებს და აფილირებული პროფესორების, აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებაში სავალდებულო წესით არის გათვალისწინებული მათი სამეცნიერო, კვლევითი მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მისი კითხვა ეხებოდა 5.1 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, სადაც საუბარია ხარისხის გაუმჯობესებაში პერსონალის ჩართულობაზე, დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაცია, ნაკარნახევი იყო პერსონალისგან თუ რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
მან განაცხადა, რომ არ შეიძლებოდა ესაუბრა შრომის ბაზრის კვლევასა და ბიუჯეტის ნაწილზე, მისთვის გასაკვირიც კი იქნებოდა, აღნიშნული უნივერსიტეტის განსახილველ პროგრამას ეს პრობლემა რომ ჰქონოდა. მას სურდა დაეზუსტებინა კონცენტრაციებთან დაკავშირებული საკითხი, იყო თუ არა აუცილებელი, რომ ერთი კონცენტრაცია აერჩია სტუდენტს, თუ შეეძლო სხვადასხვა კონცენტრაციებიდან აერჩია სასწავლო კურსები. მისი მოსაზრებით კარგად არის გაშლილი მიზნები, თუმცა აწყდებიან ჩანაწერს: „სხვადასხვა დონის მენეჯმენტის რგოლისათვის“, თუმცა საუბარია საბაკალავრო პროგრამაზე, დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი, თუ ეს იყო ენობრივი შეცდომა, რადგან საბაკალავრო დონის დასრულების შემდეგ, შეუძლია საწყისი დონის მენეჯერის ფუნქციების შესრულება, საშუალო დონის მენეჯერზეც კი იკავებენ თავს. მისი განცხადებით, HR და ოპერაციათა მენეჯმენტი არის მხოლოდ მოდულში, საბჭოს წევრის მოსაზრებით, ეს არის დაწესებულების მიერ გაკეთებული შეგნებული არჩევანი და სთხოვა დაესაბუთებინათ ამ საკითხის რაციონალური მხარე, მისი თქმით ამ ყველაფერს ყველა მენეჯერს ასწავლიან ხოლმე, ამ შემთხვევაში კი დატოვეს „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „სტრატეგიული მართვა“. მისი თქმით, აბსოლუტურად დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს წინაპირობების მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუმცა, როდესაც მან გადაამოწმა სილაბუსებში უკვე გასწორებული იყო აღნიშნული საკითხი, შესაბამისად დაინტერესდა ეს ვიზიტის დროს განხორციელდა თუ მას შემდეგ და საბჭოს შეეძლო რეკომენდაციის მოხსნა თუ არა.
ბიზნესის სკოლის დეკანმა დასძინა, რომ ვიზიტის დროს არ განუხორციელებიათ.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში უნდა დარჩეს რეკომენდაცია, რადგან საბჭო არ არის უფლებამოსილი გაითვალისწინოს დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზების/რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ არსებული ფაქტობრივი გარემოება, თუმცა დაწესებულებისთვის მარტივია, რადგან რეკომენდაცია უკვე შესრულებული აქვთ. მან განმარტა, რომ „პროექტების მენეჯმენტში“ ძალიან მოეწონა ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების არსებობა, რაც ძალიან სწორი მიდგომაა, თუმცა დაინტერესდა თუ როგორ ხდება ჯგუფის ფორმირება, რაც არ არის გაწერილი, მაგრამ მნიშვნელოვანია, მისი მოსაზრებით, ინდივიდუალური დავალების შემდეგ კურსის ხელმძღვანელმა უნდა მისცეს რჩევა. მისი განცხადებით, როდესაც ნახა აფილირებული და მოწვეული პერსონალის წილი - 17:32, საფრთხის ზღვარია, თუმცა არა აფილირებული პერსონალის რაოდენობა უკვე 21-ია, აღნიშნულიდან გამომდინარე დაინტერესდა ხომ არ გეგმავდა დაწესებულება ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის გაზრდას. ასევე, დაინტერესდა თუ რა დონეზე იყო მათი განაცხადი AACSB-ის აკრედიტაციაზე.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ პროგრამამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მასზე, განსაკუთრებით პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალით, რომელიც სოლიდურია და საუბარია ბიზნეს ორგანიზაციებზე, რაც მისი მოსაზრებით სასარგებლოა პროგრამისთვის. მან მიმართა ექსპერტს, რომ გაცემული იყო რჩევა (სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით), დაინტერესდა შეუძლია თუ არა პროგრამას გარკვეული დოზით განუვითაროს საბაკალავრო დონის კვლევითი უნარები და არის თუ არა რაიმე საგნები, რომლებიც მის კომპენსირებას ახდენს.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესოა, თუმცა მას გახსნილი ჰქონდა დოკუმენტი, პროფესორ-მასწავლებლების რესურს-ბაზა, სადაც წერია, რომ დაწესებულებას ჰყავს რამდენიმე მოწვეული პროფესორი, რომლებიც 4-5 საგანს კითხულობენ

და ბევრი ისეთი აფილირებული პერსონალი, რომელიც თითო საგანს კითხულობს, დაინტერესდა თუ რამდენად მომგებიანია უნივერსიტეტისთვის აფილირებული პერსონალი ერთი საგნით დატვირთოს და მოწვეულ პერსონალს მეტი დატვირთვა ჰქონდეს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, მან განაცხადა, რომ იგი გაეცნო სილაბუსებს და ძირითადად გამოყენებული იყო ახალი ლიტერატურა (2009-2010 წლების), დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ განახლებაში და რამდენად იყო ეს რეკომენდაცია. ასევე დაინტერესდა 2.6 კომპონენტთან მიმართებით თუ რამდენად მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის დაწესებულების წარმომადგენლების არგუმენტაცია შეფასების კრიტერიუმებსა და ქულათა ჯამის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხარისხის გაუმჯობესებაში პერსონალის ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ აქ იყო რამდენიმე წყარო, ერთ-ერთი მათგანი სასწავლო კურსების სილაბუსები, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაინახეს ხარვეზები, როგორც სასწავლო კურსის სწავლის შედეგების, ისე შეფასების სისტემების, ზოგიერთ შემთხვევაში სტრუქტურაში, გამოყენებულ ლიტერატურასა და ა.შ. იყო აღნიშნული ხარვეზები და ეს ერთ-ერთი წყარო იყო, მაგრამ არა საკმარისი, მეორე წყარო იყო გასაუბრება, რომლის შედეგადაც დაინახეს გარკვეული სახის სისუსტეები და აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაციები.
ლიტერატურის განახლების შესახებ მან განმარტა, რომ როდესაც აფასებს ქართულენოვან ლიტერატურას და იქ არის მითითებული 2009-2010 წელი, შესაძლებელია რჩევის გაცემა, რადგან ზოგადი ფონი მეტყველებს, რომ არ არის ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც 2010 წლის შემდეგ არის გამოცემული, მაგრამ საუბარია ინგლისურენოვან პროგრამაზე, 2010 წელი ეს იყო 10 წლის წინ და ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამე შეიცვალა ბიზნესში, რადგან გარემო არის დინამიური და სწრაფად ცვალებადი, შესაბამისად ინგლისურენოვან პროგრამას მინიმუმ 2016-2017 წლის ლიტერატურა უნდა ჰქონდეს მითითებული, ასევე კარგი იქნება 2020-2021 წლის ლიტერატურაც თუ მიეთითება.
საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული კითხვის შესახებ მან განაცხადა, რომ კვლევითი უნარები სტუდენტებს სხვადასხვა სასწავლო კურსით უვითარდებათ, არის გარკვეული სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებში იწერება პროექტები და როგორც მას ახსოვს უნივერსიტეტი ბოლოს სთხოვს პროექტს, რომელიც ძირითადად ბიზნეს გეგმის მომზადებას ეხება, რაც რა თქმა უნდა კვლევით უნარებს ისეთ დონეზე ვერ ავითარებს, როგორც საბაკალავრო ნაშრომი, მაგრამ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისათვის ბიზნესის მომზადება ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.
ბიზნესის სკოლის დეკანის, ელენე ჯღარკავას თქმით კონცენტრაციები ისეა ფორმულირებული, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში, სტუდენტები სწავლობენ ყველა ძირითადი ბლოკის საგნებს, რომლებიც ბევრი კომპონენტისგან შედგება, მეოთხე ეტაპზე კი ირჩევენ ერთ-ერთ კონცენტრაციას და აქვთ არჩევანის თავისუფლება. მიზანში ამოკითხულ ფრაზასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ ძირითადად საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებული არის საწყის დონეზე, მაგრამ მარკეტინგის კონცენტრაციის სტუდენტების შემთხვევაში დასაქმების ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებში არის კონკრეტული სააგენტოები, სადაც ისინი საშუალო დონიდანაც იწყებენ საქმიანობას, ძირითადად ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულების სტუდენტები. უნივერსიტეტის პარტნიორ სააუდიტორიო კომპანიაში უფრო მეტად საწყისი რგოლით იწყებენ, თუმცა შეიძლება იყოს საშუალო რგოლიც.
HR და ოპერაციათა მენეჯმენტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ასე მოხდა საგნების გადალაგება, თუმცა მათ ადრე ჰქონდათ პროგრამის განხვავებული მოდელი და კიდევ ერთი სემესტრი ეთმობოდა კონცენტრაციის საგნებს, ჯამში სამი სემესტრი, შემდეგ მიხვდნენ, რომ იყო კონკრეტული საგნები, რომლებიც ყველას უნდა ესწავლა და ინგლისურენოვან პროგრამაში გადაალაგეს ისეთი მნიშვნელოვანი საგნები, როგორებიცაა „სტრატეგიული მართვა“, „სტრატეგიული მარკეტინგი“, „ფინანსების შესავალი“, „კორპორაციული ფინანსები“ გადააჯგუფეს ყველასათვის სავალდებულოდ, თუმცა გარკვეულ საგნებთან მიმართებით

ჩათვალეს, რომ ვინც იმ კონკრეტულ დარგში აპირებს მუშაობას მათ დაუტოვეს მიმართულების მიხედვით, თუმცა ქართულ პროგრამაში აქვთ თავისუფალი 15 კრედიტი.
პრერეკვიზიტების შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაციის ნაწილი ეხებოდა ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც გამორჩენილი იყო ბადეში, მაგრამ ასახული იყო სილაბუსში, თუმცა რომელ სილაბუსშიც არ იყო უკვე აისახულია, მაგ., „ბიზნეს გეგმას“ არ ჰქონდა პრერეკვიზიტები, რადგან ბოლო სემესტრში ისწავლება და გულისხმობს, რომ ეს საგნები ისედაც გავლილი აქვს სტუდენტს.
„პროექტების მართვის“ სილაბუსთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ არსებობს ინდივიდუალური/ჯგუფური დავალებები, შესაბამისად ბოლო პრაქტიკა არის, რომ ინდივიდუალურ დავალებებზე მუშაობის დროს ძლიერი/სუსტი მხარეების გათვალისწინებით საგნის ხელმძღვანელი ადგენს განაწილებასა და ჯგუფის ფორმირებას.
აფილირების ზრდის შესახებ განაცხადა, რომ წელიწადნახევარია, რაც დაინერგა ახალი საკონტრაქტო სისტემები, მათ შორის აფილირებისაც, სადაც აკადემიური პერსონალი რომ გადაიყვანონ და გახდნენ აფილირებულები, ახლაც აქვთ გამოცხადებული კონკურსი აკადემიურ პერსონალზე და როდესაც ეტაპები მთავრდება, ხდება მათთვის აფილირების შეთავაზება, ამიტომ ქართული და AACSB სტანდარტითაც დადგენილი აქვთ ნიშა თუ რა რაოდენობით უნდა გაიზარდონ ყოველწლიურად.
AACSB-ის შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს არის ბიზნესის სკოლების საერთაშორისო აკრედიტაცია და შედგება რამდენიმე მსხვილი ეტაპისგან, პირველი ეტაპი - უფლების მოპოვება, რომ დაიწყონ აკრედიტაციის პროცესი, რომელიც ორი წლის წინ მიიღეს, შემდეგი ეტაპი არის სამი წლის განმავლობაში წელიწადში ერთხელ თვითშეფასების ანგარიშის ჩაბარება, რომელსაც მოჰყვება მათი რეკომენდაცია, თუ რა გაუმჯობესდა წლიდან წლამდე, შემდეგ ჩამოდიან დამოუკიდებელი ექსპერტები და ახორციელებენ შეფასებას, მანამდე დაწესებულებას უნიშნავენ მენტორს მათი პარტნიორი უნივერსიტეტიდან, დაწესებულებამ მენტორთან ერთად გაამზადა თვითშეფასების პირველი ანგარიში, ჰყავდათ ვიზიტორი, რომელმაც დააკვალიანათ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, პირველი ანგარიში ჩააბარეს 2020 წლის სექტემბერში, მიიღეს სრული შესაბამისობით თანხმობა და გადავიდნენ მეორე ეტაპზე, თვითშეფასების ანგარიშზე, გაწერილი გეგმა-გრაფიკით 2 წელი აქვთ დარჩენილი პროცესის ამოსაწურად და მათთვის სასურველი შედეგის დასასრულებლად.
მოწვეული და აფილირებული პერსონალის შესახებ კითხვაზე მან უპასუხა, რომ დაწესებულების პრიორიტეტი, ყოველთვის, როდესაც გეგმავენ აკადემიურ სემესტრს/წელს, პირველ რიგში შეთავაზება ხდება აკადემიურ/აფილირებულ პერსონალთან და შემდეგ გადადიან მოწვეული პერსონალის რესურსზე, თუმცა ვინაიდან დაწესებულების მიზანია კვლევით კომპონენტის გაუმჯობესება და აკადემიური პერსონალის ჩართულობა, ცდილობენ დაბალანსებას პროგრამაში, მოწვეული ლექტორი, თუკი ის არის ძალიან კარგი პრაქტიკოსი, ურჩევნიათ აკადემიური პერსონალის რესურსი მიმართონ კვლევითი კომპონენტისკენ და უმეტესი ნაწილი მას მიუძღვნას, ვიდრე, მეტი საგნები დაიმატოს გარდა იმ საგნებისა, რაც აქვთ.
საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ პროგრამაში აქვთ აკადემიური წერა, სტატისტიკა, პროგრამული უზრუნველყოფა SPSS, ანუ უვითარდებათ გარკვეული უნარ-ჩვევები, თუ როგორ უნდა იმუშაონ სტატიებზე და ა.შ. თუმცა აღნიშნული პროგრამის უკეთესი შედეგისთვის, რომ ნახონ რა ასწავლეს, უფრო ღირებულია ბიზნეს გეგმები და ის რასაც აჩვენებენ ბიზნეს გეგმების დაცვაზე, რადგან ბევრ მათგანს შეაქვთ განაცხადი გრანტებზე, დაფინანსებაზე და საკმაოდ კარგი შედეგებიც აქვთ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, მადლობა გადაუხადა დეკანს და დასძინა, რომ, როდესაც საუბარია მიზნებზე თუ მხედველობაში იღებენ სარეკლამო სააგენტოს, მაშინ მიზნები უნდა ჩაიშალოს კონცენტრაციების მიხედვით და მარკეტინგის კონცენტრაციაში კითხვა აღარ არის, თუმცა აუდიტზე ასე არ იქნება, რაც ასევე ლოგიკურია და სთხოვა გაეთვალისწინებინათ პროგრამის განვითარებისათვის.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413, მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის №1, თბილისი 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიანა მჭედლიშვილმა;
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.5, 4.2, 4.3, 4.4, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.6, 3.1, 4.1, 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. მან განაცხადა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგ., ლიტერატურის განახლება, სამეცნიერო აქტივობის გაძლიერებას, აკადემიური პერსონალის ჩართულობის ზრდა, ასევე სწავლის შედეგების გაწერა/ფორმულირებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;
- რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში;
- რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი - რაც გაწერილი უნდა იყოს დებულებაში;

15:50 საათზე საბჭო დატოვა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ნატროშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისათვის. მან განაცხადა, რომ სურდა რეკომენდაციები დაეჯგუფებინა შინაარსობრივ და ტექნიკურ რეკომენდაციებად, დაწესებულების წარმომადგენლები უმეტესად იზიარებენ რეკომენდაციებს, თუმცა ზოგიერთს მხოლოდ ნაწილობრივ, ზოგიერთთან მიმართებაში კი გააჩნიათ საკუთარი არგუმენტაცია.
მისი თქმით დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას ლიტერატურასთან დაკავშირებით, გამიჯნული უნდა იყოს სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის ლიტერატურა, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინეს, მაგრამ მათ გამიჯნეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომელიც დარგისათვის იძლევა სიღრმისეულ, ფუნდამენტურ, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, გადაიტანეს დამატებით ლიტერატურაში, ძირითად ლიტერატურაში კი შეიტანეს ის მასალები, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტული ცოდნის მიცემას სამაგისტრო საფეხურზე.
სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სილაბუსში არ არის აღნიშნული საკითხი, თუმცა სამაგისტრო დებულების მიხედვით გათვალისწინებულია და ასევე სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს სკოლის ადმინისტრაციას განაცხადი თემის შესახებ. ადმინისტრაცია ამოწმებს თემის შესაბამისობას კონცენტრაციის მიხედვით. ინიშნება თემის ხელმძღვანელი. იწერება თემაზე რეცენზია. შესაბამისად, მრავალსაფეხურიანი მექანიზმი გამორიცხავს თემის კონცენტრაციასთან არა თავსებადობას.
სილაბუსებთან დაკავშირებული რეკომენადაციის შესახებ, მაგ განმარტა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზები, რაც გამოსწორდა შესაბამის სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ სწავლის პროცესში ხდება სილაბუსების შეყვანა სპეციალურ ონლაინ პლატფორმაში. აღნიშნულ პლატფორმას აქვს მინიჭებული ფუნქცია, რომელიც ჯამური ქულის გადაჭარბების შემთხვევაში, აჩვენებს შეცდომის შეტყობინებას და იძლევა გასწორების მითითებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესში ასეთი სახის ტექნიკური ხარვეზები არ ფიქსირდება.
თანახელმძღვანელის შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არ არის სავალდებულო, რადგან სტუდენტს ჰყავს დარგის შესაბამისი ხელმძღვანელი. არსებული პრაქტიკით და სტუდენტების უკუკავშირის შედეგად, არ გამოკვეთილა თანახელმძღვანელის საჭიროება. მით უფრო, სტუდენტებს გავლილი აქვთ სავალდებულო კურსად ისეთი საგანი, როგორიც არის „სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში“. ასევე, უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც თითოეულ მაგისტრანტს ნაშრომის მომზადების ეტაპზე უტარებს სემინარებს აკადემიური წერის სტილსა და პლაგიატის შესახებ.
ბიზნესის სკოლის დეკანის, ელენე ჯღარკავას, თქმით გარადა, იმისა რომ ხელმძღვანელი სტუდენტს ენიშნება კონცენტრაციის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის არჩევამდე, სტუდენტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ყველა სასწავლო კურსი, მათ შორის ერთ-ერთი კურსი, რომელიც გავლილი აქვთ არის „სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში“, კურსი მოიცავს სტუდენტების მომზადებას, წინასწარ მუშაობას თეზისებზე და სხვა. ის აძლევს მითითებებს კვლევის კომპონენტებზე, მიზნების სწორად დასახვაზე, აკადემიურ წერაზე, ციტირებასა და ა.შ. შესაბამისად თუ თანახელმძღვანელმა უნდა შეითავსოს მსგავსი ფუნქცია, იმ გამოკითხვებით რასაც ატარებენ სტუდენტებში არ დაფიქსირებულა საჭიროება.
კრედიტების განაწილებასთან მიმართებაში გაწერილი რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ სტუდენტი ძირითადი ბლოკიდან გადის ყველა კონცენტრაციისთვის შესაბამის საგნებს, შესაბამისად კრედიტების ჯამური მაჩვენებელი არ ირღვევა და შესაძლებელია 60 კრედიტზე მეტიც იყოს რომელიმე კონცენტრაციის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ განსახილველ პროგრამასთან მიმართებით საუბარია ორ საკითხზე, რამაც მისი გაკვირვება გამოიწვია, ორ სილაბუსზე ლიდერობასა და სტრატეგიულ მენეჯმენტზე, აღნიშნული სილაბუსები იდენტურია ბაკალავრიატის საფეხურის სილაბუსების, იგი დაინტერესდა თუ რატომ მოხდა ეს და რამდენად სწრაფად უნდა

აღმოიფხვრას ეს ყველაფერი, ექსპერტებს ჰქონდათ რბილი ფორმულირება, თუმცა რომ ყოფილიყო გარკვეულ თემატიკაში გადაკვეთა გასაგებია, მაგრამ პრაქტიკულად იდენტურია და სასწრაფოდ გამოსასწორებელია.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, იგი დაინტერესდა თუ რამ განაპირობა და რა მიზანს ემსახურებოდა არასტანდარტული ტრიმესტრული სწავლების შეთავაზება (4 სემესტრის ნაცვლად 6 სემესტრი), რაიმე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით მოხდა თუ სხვა მიზეზი ჰქონდა. მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლები მსჯელობის დროს ხშირად ამბობდნენ, რომ იყო კონცენტრაციები, მაგრამ პროგრამაში სიტყვა „კონცენტრაცია“ ნახსენები არ არის, ერთ ნაწილში ნახსენებია „მოდული“ და „ბლოკი“, დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა საქმე კონცენტრაციასთან.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ დასკვნის აღწერით ნაწილში 3.2 კომპონენტში წერია „სასურველია პროგრამის განხორციელებამდე ითარგმნოს ინგლისურ ენაზე“, დაინტერესდა ეს რაიმე სახის ტექნიკური უზუსტობა იყო თუ რატომ აღმოჩნდა ეს ჩანაწერი. გარდა ამისა, სილაბუსების ტექნიკური მხარის შესახებ დაინტერესდა თუ რამდენად ხშირია შეფასების ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზები.
ბიზნესის სკოლის დეკანმა, ლიდერობისა და სტრატეგიული მართვის სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეც მოინიშნავდა აღნიშნულ საკითხს მოწვეულ პერსონალთან შეხვედრისას, ერთ-ერთი საგნის ლექტორმა, რომელმაც გააკეთა აღნიშნული გამეორება, მას ბოლომდე ჰგონია, რომ შესაძლებელია იყოს მსგავსება, თუმცა განსხვავებული ქეისების განხილვას ახორციელებს სხვადასხვა საფეხურზე, მაგრამ თუ ეს ითვლება კონკრეტულ დარღვევად და არ უნდა იყოს, როგორც კი პროგრამა დაიწყებს განხორციელებას აუცილებლად მოხდება მათი გამიჯვნა პროგრამებს შორის.
სამ სემესტრიანი სწავლების შესახებ მან განმარტა, რომ როდესაც CSB-მ დაიწყო ოპერირება, თავის დროზე ამერიკული უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა, და მათ პარტნიორ უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული პრაქტიკა თავის ბიზნესის კოლეჯში, როდესაც მაშინდელმა მენეჯმენტმა იკითხა ამის მიზეზი, MBA პროგრამაზე მისაღებად სავალდებულო მოთხოვნა აქვთ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მიდიან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ რთული განაკვეთის სამსახური, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა არიან სრულად დაკავებულები და დაწესებულებამ მათ საშუალება მისცა რომ ჰქონდათ მოქნილი გრაფიკი, წელიწადში 3 სემესტრის არსებობისას გარკვეული საგანი რომ ვერ აიღეს პირველ სემესტრში, რადგან დაკავებულები იყვნენ, დამატებით უხსნიან შემდეგ სემესტრში და როდესაც გამოკითხვას ატარებენ, ერთ-ერთი კრიტერიუმი არის სწორედ ეს, რასაც ასახელებენ.
ინგლისურად გადათარგმნის შესახებ კითხვაზე მან უპასუხა, რომ ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევს, რადგან პაკეტში ჩადებული ჰქონდათ მხოლოდ ქართული ენაზე არსებული სახელმძღვანელო, თუმცა პირველადი დასკვნის შემდეგ მოხდა ინგლისურენოვანის გადაგზავნაც, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებს შემუშავებული ჰქონდათ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით აღნიშნული რჩევა ამოღებულია არგუმენტირებული პასუხის გათვალისწინების შედეგად.
ფაკულტეტის დეკანმა დაადასტურა, რომ რეკომენდაცია ამოღებულია, თუმცა შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზის შედეგად დარჩათ დასკვნაში.
ექსპერტმა, ნიკა გიგაურმა, განმარტა, რომ შესაძლებელია დარჩათ დასკვნის შესავალ ნაწილში, რაც ტექნიკური ხარვეზია.
სხდომის თავმჯდომარემ შეახსენა სილაბუსებში ხარვეზების სიხშირესთან დაკავშირებული კითხვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 1-2 ხარვეზის შესახებ რეკომენდაციები არ გაიცემა, თუმცა როდესაც ამჩნევს ტენდენციას და ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია ტენდენცია, შესაბამისი გაიცა რეკომენდაციაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:07
დასრულების დრო: 16:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანა თლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა;
ბ) ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფომულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
გ) რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურ განსაზღვრა. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები;
დ) რეკომენდირებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება;
ე) რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით;
ვ) რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
ზ) რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში;
თ) რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

რჩევები:
ა) სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები გაზომვის მიზნით;
ბ) სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით;
გ) სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის ზრდა.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 3.2 კომპონენტ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში;
ბ) რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;

გ) რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები;
დ) რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები;
ე) რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
ვ) რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
ზ) რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

რჩევები:
ა) სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში;
ბ) სასურველია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი;
გ) სასურველია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:24 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	25.09.2020, გადაწყვეტილება №896840
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
11	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №25, თბილისი, 0179, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, დავით ჯიქიამ, განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, რეკომენდაციების შესრულების შეფასებისას დადასტურდა, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ, გარდა ერთისა, რომლის პანდემიის პირობებში შესრულება შეუძლებელი იყო, თუმცა არსებობს დოკუმენტური მითითებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2020 წლის სექტემბერში, 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით და შემდეგ მონიტორინგით. რეალურად ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ, ექსპერტის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი გახლდათ რჩევა, რომელიც ვერ გაითვალისწინეს, რადგან შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის პროცესში გააქტიურებას და სტუდენტთა ჩართვას, სექტემბრიდან ანგარიშის წარმოდგენამდე ვერ გაითვალისწინეს, თუმცა არსებობს გეგმა აღნიშნულის განხორციელების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, მიმართა ექსპერტს, რადგან პირველად დასკვნასა და გადაწყვეტილებაში იყო 4.1 კომპონენტთან, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც მისი მოსაზრებით 3 ახალი პერსონალით არის გამოსწორებული, იგი დაინტერესდა იყო თუ არა 3 ახალი პერსონალის პირადი საქმე/კვალიფიკაცია ცნობილი ექსპერტისთვის და სთხოვა ესაუბრა მათ შესაბამისობაზე სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში, არის თუ არა ეს ის სამი ადამიანი, რომელმაც გამოასწორა სიტუაცია.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს იყო არა მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტის, არამედ ბევრი სადოქტორო პროგრამის პრობლემა, მიღების წინაპირობის დაკორექტირებასთან დაკავშირებით (საუბარია სტომატოლოგების არ მიღებაზე), საიდანაც გამომდინარეობდა რეკომენდაცია, რომ სადისერტაციო საბჭო და დარგის სპეციალისტები გაძლიერებულიყო მედიცინის კუთხით, საუბარი არ იყო უშუალოდ მედიცინის მიმართულებით პერსონალის ნაკლებობაზე, არამედ საუბარი იყო ჩანაცვლებაზე, დაწესებულებამ რეკომენდაცია შეასრულა, ამის შემდეგ კიდევ ჰქონდათ კონკურსი და კიდევ უფრო გააძლიერეს, რაც მონიტორინგის დროსაც გადამოწმდება.
ექსპერტმა განაცხადა, რომ კონკურსის შედეგები წარმოდგენილი იყო და დოკუმენტაციაში ასახულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:36
დასრულების დრო: 16:38

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

16:39 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკატერინე ნაცვლიშვილი.

4. მეოთხე საკითხი: შპს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	26.10.2020 გადაწყვეტილება №1038166
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საავიაციო ინჟინერიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი, №16, თბილისი, 0103, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ნიკა თიკანაშვილმა;
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, გივი სანაძემ, განაცხადა, რომ ანგარიშში წარდგენილია ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ:
პირველი რეკომენდაცია (გადაიხედოს სილაბუსები კვლევითი რესურსებისა და სტატიების ინტენსიურად წარმოჩენის მიზნით) - შესრულებულია, წარმოდგენილ სილაბუსებში საკმარისად არის წარმოდგენილი სტატიები, სამეცნიერო კვლევების შესახებ ანგარიშები და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ბმულები;
მეორე რეკომენდაცია (დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა) - შესრულებულია, რაც გულისხმობდა რუკიდან თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმების ამოღებას, რადგან ცალკე კოლოკვიუმი არ უნდა ფასდებოდეს და არ უნდა იყოს ასახული რუკაში, თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმები კურიკულუმის რუკაში ასახულია დისერტაციის შემადგენელ ნაწილად;
მესამე რეკომენდაცია („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამოღებულ იქნას სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების რაოდენობა) - შესრულებულია, დაწესებულების მიერ, შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კვლევითი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ამოღებულია და გასწორებულია ტექნიკურად.
ექსპერტის თქმით რეკომენდაციები იყო მარტივად შესასრულებელი და მას დამატებითი კითხვები არ გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით ტეფნაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტს, რადგან მას ორჯერ მოუწია აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა, ერთხელ აკრედიტაციაზე და მეორედ ანგარიშის წარმოდგენისას, დაწესებულება თავიდანვე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და როგორც ექსპერტმა განაცხადა, დაწესებულების წარმომადგენლებმა შეასრულეს ყველა რეკომენდაცია, ცვლილებები შევიდა, როგორც კურიკულუმში, ასევე სილაბუსებშიც, მეორე და მესამე რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის შეცდომები იყო, რადგან თვითონ კურიკულუმში აღნიშნული იყო, რომ კრედიტებში არ იყო წარმოდგენილი, თუმცა სილაბუსში გაპარული იყო შეცდომა. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას დაწესებულებამ მთლიანად გაიზიარა და გაამდიდრეს სილაბუსები სტატიებითა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:43
დასრულების დრო: 16:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 13 ივლისი 16:57 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ